საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №1

2026 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში (სსმ, 13.12.2006, №167, მუხ. 2271) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

2. დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

3. დადგენილებას დაემატოს დანართი №3 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**ივანე მახარაძე**
კომისიის წევრი	**ნათია კუკულაძე**
კომისიის წევრი	**ეკატერინე იმედაძე**
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**გოგა გულორდავა**